რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალის საუკეთესო ესკიზის გამოვლენისა და მის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის

საკონკურსო კომისიის ოქმი №2-3

ქ. ბათუმი 14 მაისი, 2014 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

რუსლან ქორიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე-ქ. ბათუმის მერის მოადგილის მ/შ, მერის მ/შ;

გიორგი რამიშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე-ქ. ბათუმის მთავარი არქიტექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

ირაკლი სურმანიძე - საკონკურსო კომისიის წევრი- ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსი;

მამუკა თამაზაშვილი-საკონკურსო კომისიის წევრი- ქ. ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახურის უფროსი;

ელგუჯა ხაზარაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი (მხატვარი);

ნაზი ფუტკარაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - თვითმმართველი ქალაქის-ბათუმის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ვახტანგ ღლონტი - საკონკურსო კომისიის წევრი - თვითმმათველი ქალაქის-ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი განათლების, კულტურისა და შემოქმედებით ინტელიგენციასთან მუშაობის საკითხებში;

ნინო ინაიშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი - ისტორიკოსი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ბათუმი“;

დუგლას ზამთარაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - არქიტექტორი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:

- ზვიად ბურჭულაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - არქიტექტორი, ქ. ბათუმის მერთან არსებულ სათათბირო ორგანო თვმჯდომარე;
- მაია ჭიჭილეიშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი - ხელოვნებათმცოდნე;

დღის წესრიგი: თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მიერ ქ. ბათუმში, №12 საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებულ, ჯავახიშვილის ქუჩის სკვერში განსათავსებელი, რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალის საუკეთესო ესკიზის გამოვლენისა და მის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა - მამუკა თამაზაშვილმა საკონკურსო კომისიას წარუდგინა საკონკურსო განცხადების პროექტი, საკონკურსო პირობები და თანდართული დოკუმენტები.
საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტები, რომელიც შეესაბამება „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მოთხოვნებს.

კომისიამ დაადგინა: 1. დამტკიცდეს ქ. ბათუმში, №12 საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებულ, ჯავახიშვილის ქუჩის სკვერში განსათავსებელი რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალის საუკეთესო ესკიზის გამოვლენისა და მის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე საკონკურსო განცხადება.

2. ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების განყოფილებას (ვ. ხინთიბიძე) ეთხოვის წინამდებარე ოქმისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გაგზავნა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: რუსლან ქორიძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: გიორგი რაბიშვილი

კომისიის წევრები: ირაკლი ხუერმანიძე

მამუკა თამაზაშვილი

ელგუჯა ხაზარაძე

ნაზი ფუტკარაძე

ვახტანგ ღლონტი

ნინო ინაიშვილი

დუგლას ზამთარაძე